შაღვა დაჯიანი

საქართველოს

19 საბჭოთა მწერალი 44
თ ბ ი ლ ი ს ი

ი ს

I

ვინდა რომ კვლავ მას დაუბრუნდე, მასზე ვიფიქრო,
ვინც არა ერთხელ ჩემთა ფიქრთა საგნად ყოფილა!
ვიფიქრო მასზე, ვინაც ერთხელ, სიჭაბუკისას,
თავდაღწეულმა ტყვეობიდან და თავის რწმენის
სიძლიერით თავაწეულმა სძლია სტიქიონს—
დაუნდობელს სასტიკ ქარბუქსა და გამოვიდა
სამშვიდობოს, თავი დაიხსნა...
და დაუბრუნდა თავის დიდსა მასწავლებელსა,
ერთგულ მოწაფეთ, დაუბრუნდა საყვარელ ხალხსა.
და სამუდამოდ იგი იქცა ჩაგრულთა მხსნელად.

II

დღეს კი, როდესაც სამშობლოს ცას შავი ღრუბლები
ზათქით გაეკრენ, დაიძაბა მთელი ცხოვრება,
როდესაც მტერმა კაცნიერმა, გამნძვინებულმა,
მუხთლურის წესით გადმოლახა ჩვენი საზღვრები,
მაშინ დადგა დრო, დადგა ჟამი, წამი და წუთი
როს აქოთქოთდა არემარე, აგრგვინდა ზეცა,
აგრიალდა თვით დედა-მიწა და ადუღდა ზღვა,
როს გაიბურდა ძირს ქვესკნელი და ატკრციალდა
გარესკნელი, გასკდა ზესკნელი სხვა მის ალაბგას.

შეირყეოდა, დაიწყებდა დაბნეულ ფუსფუსს.
ის კი სიდინჯით, ჩვეულებრივ აუჩქარებლად,
შეხვდა [illegible]ელს, შეხვდა, როგორც ფოლადის კაცი!
და სწორედ რომ გადამწყვეტ წუთას დიდის სიმშვიდით
საზეიმო, მორიგ სხდომაზე ესაუბრა ხალხს.
ამცნო მსოფლიოს მშვიდის, წყნარის, მაგრამ შინაგან
ცეცხლის მფრქვეველის სიტყვებითა ჩვენი სიმტკიცე.
კვლავ გააღვივა დიდი რწმენა მართალი საქმის.
ეს იყო დიდი, არ ნახული სულის სიგმირე,
ბუმბერაზული, ზნეობრივი რამ სიმამაცე.
იმან მტვერივით განიყარა „ფერხთა მისთაგან"
მტრის ურდოები, ძლიერება მათი შემუსრა.
სირცხვილეული ხელთ ჩაიგდო ბევრისგან ბევრი. *
გაანფანტა აზრი მტრის ლაშქრისა უძლეველობის.
და ამით ყველა განაკვირვა, თვითონ მტერიც კი!
კვლავ დადასტურდა, რომ გმირული იმისი ხალხი
ურყევ სტალინურ მეგობრობით შემჭიდრებულა.

III

და აი დღესაც ამ საათში, თუნდაც ამ წუთას
როცა მკითხველი ამ სტრიქონებს ჩემსას კითხულობს,
ის იმყოფება სწორედ იქა, სად საჭიროა
მისი ყოფნა სწორედ ამ წუთას. და ამუშავებს
იგი გეგმებს, თან ხელმძღვანელობს არამც თუ მარტო
დიდ საკითხთა გადაჭრის საქმეს, არამედ თითქო

* „ბევრის ბევრი" ძველებურის ქართულით ნიშნავს რამოდენიმე ათი ათასეულს.

უბრალო, შურეხ და წვრილმანთა საგანთ ეცნობა,
იძლევა რჩევა-დარიგებას... გენიალურათ
ანაწილებს იგი თავის დროს და ჰყოფნის წუთები,
რომ ესაუბროს მეცნიერსა, თუნდაც ხელოვანს.
ყველა ეს ხდება კვლავ მშრომელთა საბედნიეროთ,
მთელს მსოფლიოში მშვიდობისა დასამყარებლად.

IV

დღესაც ქოთქოთობს არემარე, გრგვინავს ხმელეთი,
გრიალებს ზეცა, დუღს, თუხთუხებს ზღვა და მდინარე,
ტკრციალებს ისევ გარესკნელი, სკდება ზესკნელი,
ის კი, ჩვეულებრ, ნებით მტკიცე, შეუშფოთველი.
ზოგჯერ ჩვენ მისსა გენიალურ სიდინჯის სიღრმეს
ვერც კი ჩავწვდებით! ძალიან შორს ის იხედება.
მას აქვს თვალები არწივისა, მზეს **რომ** უსწორებს,
გამძლეობა აქვს უდიდესი მწვერვალებისა,
ძალღონე შესდგამს ბობოქარი დიდი ზღვებისა.
მის ბუნებაში კი მარხია, ვით საქართველოს
მაღალ მთების წიაღსა შინა, რამ მადნეული
ძვირფასთა აზრთა, დიდი განძი ხალხის სიკეთის
და ის არ იშლის ზრუნვას, ფიქრსა იდეისათვის;
იმან არ იცის თუ რას ჰქვიან დაღლა, დაქანცვა.

V

ვინც არის ის კარგად ვიცით. მთელმა მსოფლიომ
ეხლა უფრო უკეთ იცის ვინაც არის ის.
ეს არის ხვედრი რჩეულთა და ბუმბერაზების!

ქართველობა

I

ქარვა

მე იმ ქარვაზე არ ვამბობ მცუნვარე მზის ქვეშ გრილოში მიმჯდარ აღმოსავლურ ადამიანს ხელში რომ უპყრია და თითქო მთვლემარე, ზანტად მარცვლავს ქარვის საუცხოვო კრიალოსანს.

იგი ანგარიშს აღარც კი უწევს ქარვის ორს საკვირველ თვისებას: სურნელობას და მიმზიდველობას.

ქარვას აქვს ანდამატური ძალა.

იგი მაგონებს საქართველოს აღნაგობას: მისი ლამაზი ბუნების სურნელობას, მისი ხალხის მიმზიდველობას.

რამდენი არ მოუზიდნია ჩვენს ტურფა კუთხეს!

ქარვა უკვე გამონაკვთული, ჩამოსხმული, ჩამოქნილი, კრიალოსნის მართლაც რომ დიდი მშვენებაა.

და კაცობრიობის კრიალოსანში დიდხანს შარათგდებული ეს ქარვა, კვლავ ჩაება საერთო ძაფს.

ქარვას აქვს აგრეთვე უცნაური ელვარებაც.

ამ ელვარებაში გამოსჩანს მთელი წარსული და აწმყოც საქართველოსი:

ჯერ ამირანი ზღაპრებით შემოსილი.

ამირანი ღმერთებთან მებრძოლი ქვეყნად ბედნიერების დასამყარებლად.

შემდეგ ნებროთი საიგავარაკო, უებარი რაინდი მპყრობელი მშვილდ-ისრისა და მფლობელა თავის... მონაგარისა.

მას მიუყვება პირველი ფიქრი სამყაროზე, ვარსკვლავთა მიმოქცევაზე. აღმოჩენა ბრინჯაოსი, მოხმარება „ოქროს ვერძი"-სა.

ელვარებს საუკუნეები:

გაშენება საქართველოსი, ძვირფასი სახელები ხალხის გრძნობის ზარბაბჩით და ოქსინოთი დაყურსული.

ამეტყველება ფილოსოფოსთა: პეტრიწისა, ჭიმჭიმელისა; ახოვან ხუროთმოძღვართა, რომელთაც მოჰფინეს საქართველოს მთა და ბარი ასეთ ნაგებობით, რაიც დღესაც კი ანცვიფრებს მის ახლო შემსწავლელთ თუ გარეგან, ერთის თვალის გადავლებით დამნახველთა.

ახმაურება ოქრომჭედლობით უდიდეს მხატვარ ოსტატთა, ოპიზართა.

სიტყვა-მზეობა ენა-მჭევრ მწერლებისა უხსოვარ დროიდან მოყოლებული და შემდეგ აღმობრწყინება უდიდესი მნათობის, შოთა რუსთაველისა, რომლის მძლავრი შუქი დღესაც კი გვათბობს და გვინათებს.

ხოლო ამ საუკუნეთა შორის ხალხის მიერ შემონახული უჯიათი სახელები ჩვენი მონაგარის წასართმევად, ჩვენი ბუდის დასანგრევათ შემოსულ მტერთა ურდოებისა და მათი უწყალო, განუკითხავ მეთაურებისა:

მურვან-ყრუსი, ჩინგისხანისა, თემურლენგისა, ჯალალედინისა, აღამაჰმადხანისა...

და იმავ დროს ჩვენი ხალხის სულიერი უდრეკელობა და მახვილი გორგასლანისა, თორნიკესი, სააკაძის, პატარა კახისა.

კიდევ საუკუნეები.

ელვარებს ქარვა მეცხრამეტე საუკუნის: ბორკილი, ხუნდი, კირთება საქართველოსი, მაგრამ ხალხის წიაღთაგან გამოსულნი—არსენა ოძელაშვილი, უტუ მიქავა, მართალი თოდუა და სხვა „ძმანი უმრწემესნი". თან... ბუმბერაზნი გონებისა, გულის ეთერისა:

ილია, აკაკი და კიდევ:

აღარც საუკუნეები, წლები მხოლოდ...

აღდგომა საქართველოსი, გამარჯვება საქართველოსი.

და კვლავ სახელები სიამაყით, სხივთა მომფენი.

აქ კი საქართველოს ნიადაგზე აღმოცენებული, დიდი დროშა კაცობრიობის საუკეთესო ნაწილისა—საყვარელი ბელადი სტალინი.

არა, ეს ქარვა მშვენიერია, მისი სურნელება და მიმზიდველი ძალა მართლა უკვდავია. ის კარგად ჩაება ხალხთა მეგობრობის კრიალოსანში.

და აი... კვლავ გაჩნდა მტერი უდიერი, გამხეცებული.

მას უნდა დაგლიჯოს ეს კრიალოსანი, მას უნდა მარცვლა-მარცვლა გააბნიოს ამდენის შრომით და რუდუნებით მოკრებილი ძვირფასი თვლები.

მან უკვე წითლად ააჭვივა ჩვენი ქარვა, მაგრამ მან არ იცის, რომ ამით კიდევ უფრო მეტი დიდება და სახელი შეჰმატა ჩვენს დიდს ასაბიას.

ეს ძვირფასი ლალია, წმინდა სისხლი ჩვენ მიერ დანთხეული სამშობლოსათვის, დიდი ბელადისათვის!

და ეს სისხლი მოგვიწოდებს შურისძიებისათვის, ჩვენი შთლიანობის დაცვისათვის გმირულ საქმეთა ჩასადენად. გმირების გამოსავლენად.

საქართველომ უკვე მისცა ეს გმირები, და ისინი უკვე ჩაებნენ სამშობლოს კრიალოსანში საუკეთესო თვლებად.

მე მწამს, რომ ამათ გარდა ჩვენში კიდევ ბლომად არის ბრძოლის ველზე თუ ზურგში ჯერ გამოუმჟღავნებელი, თავდადებული გმირები.

ამათაც ეგრევე მოელით დიდი დაფასება და ხალხის მიერ შარავანდედით შემოსვა, მხოლოდ ისე, რომ იცოცხლონ და ჩვენს შთამომავლობას გამოადგნენ ცოცხალ მაგალითად.

შთამომავლობა ამ ქარვის კრიალოსანს, მათგან დამშვენებულს, სამარადისოთ შეინახავს.

II

„სიყვარულსა მალვა უნდაო",—ამბობს ერთი ქართული, ხალხური ლექსი. იმავ დროს მიღებულია, რომ „სატრფოს ქება ურიგო რამ არის". მაგრამ ცხოვრებაში დგება თურმე მომენტი, როდესაც მდუმარებას კლიტე უნდა აეხსნას და საჯაროდ აღიარო შენი სიყვარული. არა თუ სიტყვით, უმთავრესად საქმით უნდა დაამტკიცო შენი წმინდა გრძნობა, შენი თავდადება საყვარლისათვის. განსაკუთრებით კი მაშინ, თუ სამშობლოსადმია მიძღვნილი შენი უწმინდესი განცდა.

ადამიანისათვის-კი უდიდესი საყვარელი სამშობლოა. ვერავითარი დიდი გრძნობა ვერ შეედრება მის სიყვარულს.

ეს იცის დღეს კიდევ უფრო თვალდასანახავად საბჭოთა კავშირში შემავალმა ყველა ხალხმა.

ეს იცის ქართველმაც და იმიტომ არის კიდეც, რომ ისიც სხვა მოძმეებთან ერთად გააფთრებით იგერიებს გამხეცებულ ფაშისტთა ურდოებს. ქართველმა იცის, რომ

„სადაც შობილა, გაზრდილა
და უსროლია ისარი...
სად მამა-პაპა ეგულვის
და მათი კუბოს ფიცარი...
მისი სამშობლოც ის არი!"

და როგორია ეს მისი სამშობლო მხარე?

მან იცის, რომ ერთი უტურფესთაგანია მთელ საბჭოთა კავშირში.

ლამაზი პატარძალივით ლაღი ბუნების წიაღში თითქო ნებივრად მისვენებულიაო, თავზე მყინვარ-წვერისა და იალბუზის თეთრი ლეჩაქი გადაუფრიალებია, ჩიხტი-კოპზე წიწვოვანი მცენარეთა ზურმუხტის ქინძისთავი მიუბნევია, სარტყლად ორი ტოტი — მტკვარი და რიონი ვერცხლის სირმით მოუქარგავს, გულისპირი ნარინჯოვან მცენარეთა უხვი ნაყოფით მოოქრულა, ქოშები კი შავიზღვის მარგალიტებით არის მოოქვილი.

ზურგის უკან ცამდე აყუდებული საუკუნოვანი მთების წიაღში უხვად ჩამალულა სხვადასხვა ძვირფასი მადნეული: მოლიბდენი და ოქრო, ვოლფრამი და თუჯი, ბრინჯაო და სპილენძი, საწვავი მასალა—მაღალხარისხოვანი ნახშირი და ნავთი, სამკურნალო წყლები და ჯანმრთელობის სამკედლოდ გამომდგარი საუცხოვო სამყოფელები.

იქვე ხარობენ თავისთავად და კაცის დაუხმარებლად ლელვი და ბროწეული, დაფნა და ვაზი და სხვა კეთილშობილი მცენარეები.

ვინ ჩამოსთვლის საქართველოს უცნაური და უხვი ბუნების სიმდიდრეს.

მხოლოდ შესამჩნევი ის არის, რომ ამ მორჭმულ ბუნებას ხალხი ასხია ნიჭიერი, გამჭრიახი და დასაბამითვე თავისუფლების მოყვარული.

სამი ათასი წელიწადი ცხოვრობს ქართველი საზოგადოებრივი, ორგანიზებული ცხოვრებითა და ამ ცხოვრებით გამოუვლინებია მას თავისი კულტურული არსებობის უნარიანობა, თავისი სახელმწიფოებრივი სიბრძნე.

მას მუდამ ასულდგმულებდნენ თავისი ქვეყნის თავისუფლება, დროისდა შესაფერი საკაცობრიო, მოწინავე იდეები.

ამისათვის უშრომნია, უბრძოლნია და ყოველ მიმძლავრებისაგან იარაღით ხელში დაუცავს თავის ნაციონალური სახე, თავისი უწმინდესი კულტურული მონაგარი.

მას წარმოუშვია ისეთი ადამიანები, რომლებიც აზროვნებით ასულან დიდ და მაღალ საფეხურზე ფილოსოფიისა, პოეზიისა, პოლიტიკისა და სამხედრო ხელოვნების დარგში.

მათი სახელები ქართველის გულსა და გონებაში აცოცხლებენ მის მრავალჭირნახული არსებობის საამაყო მხარეებს და უნერგავენ მას თავისი თავის რწმენასა და და მხნეობას.

მრავალჭირნახულიო, — ვთქვი.

და ესეც არის.

მიუხედავად ქართველი ხალხის გამჭრიახობისა და დაუღალავი შრომისა და ბრძოლათა წარმოებისა, იგი წარსულში მაინც არ იყო ბედნიერი. მას ისტორიული წუთი მოსვენებისა არა ჰქონია.

მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ შესძლო გამოეყვანა საქართველო დიდი ისტორიის შარა-გზაზე და მიეცა საწყისი ქვეყნის აღორძინებისა და აყვავებისათვის.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი, რომ საქართველოს ბუნების სიმდიდრეც და ხალხის უნარიანობაც თავისუფლად და ლაღად გადმოშლილიყო და დიდის სიუხვით წარმომდინარებულიყო.

აქამდე დადუმებულმა მთებმა მეცნიერების საშუალებით თითქო მოიღიავეს თავიანთი გულ-მკერდი და იქიდან უხვად მოაფრქვიეს ძვირფასი მადნეული.

ხალხის გარჯილობამ, ბრძნულმა ხელმძღვანელობამ ამოაშრო ჭაობები (განსაკუთრებით კოლხიდის დაბლობი), რომელთა დიდ ნაწილზე ამჟამად ნარინჯოვანი ბალნარია გაშენებული.

ხალხის სწავლა-განათლება, ჯანმრთელობაზე ზრუნვა ხომ ავიდა საქართველოსათვის ჯერ უნახავ სიმაღლესა და ინტენსიობაზე.

იქ, სადაც ძლივს ღოღინობდნენ მხოლოდ პრიმიტიული საწარმოები, რამოდენიმე ათეული ფაბრიკა-ქარხანა და სამრეწველო საწარმო მოეწყო და აშენდა.

მეცნიერული მუშაობა საქართველოში იმდენად ნაყოფიერი და მომწიფებული შეიქნა, რომ შესაძლებელი გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსება. აკადემიამ უკვე ფართოდ გაშალა თავისი მუშაობა და უკვე დიდი მიღწევები აქვს მათემატიკისა, ბიოლოგიისა, ისტორიულ თუ სხვა დარგში. განსაკუთრებით აღსანიშნავია უკანასკნელ ხანებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში: ქართლსა, იმერეთსა და. გურიაში. იქ აღმოჩენილმა ბრწყინვალე ნივთებმა ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს ქართველი ერის ოდიდანვე კაცობრიობის მოწინავე რიგებში დგომა და კულტურულობა.

ყოველივე ეს კი მოიტანა საბჭოთა ხელისუფლებამ. საქართველოშიაც მან გამოაღვიძა და განავითარა როგორც საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხების ისე კერძოთ ქართველი ხალხის საუკეთესო თვისებები. ყოველივე ზემო ჩამოთვლილ მონაგართან და მიღწევასთან ერთად მან გაუღვივა ხალხს თავისი რწმენა, ჩაჰბერა მხნეობა და უფრო მეტად განუმტკიცა სიყვარული მოყვასისა, გრძნობა მეგობრობისა.

ქართველს აქამდეც სწამდა ძმადნაფიცობის ძალა, რადგან იგი აღზრდილია დიდი შოთას მიერ ნაამბობ ტარიელ—ავთანდილ—ფრიდონის მეგობრობის ამბავზე. მხოლოდ დღეს მან ასეთი მეგობრობა კიდევ უფრო გაშალა, გააღრმავა, მტკიცე ხასიათი მისცა და ხალხთა სტალინურ ურყევ მეგობრობად აქცია. ამის გამოხატულებაა სხვათა შორის ფართოდ წარმოებული მისვლა-მოსვლა მომძე საბჭოთა რესპუბლიკებში მუშებისა, კოლ-

მეურნეებისა, მეცნიერებისა, ხელოვანებისა. გაზიარება ურთიერთისთვის თავიანთი გამოცდილებისა და საერთო ხალისის შემქმნელი სოცშეჯიბრის წარმოება.

იმავე დროს, როგორც ყველა სხვა მოძმეებმა, კარგად შეიგნო ქართველმა, რომ ამჟამად ის მარტო თავისი საკუთარი მშობელი მხარის პატრიოტი კი არ არის, არამედ მას ეხლა დიდი, მთელი დედამიწის მეექვსედზედ გადაჭიმული დიადი სამშობლო აქვს — საბჭოთა კავშირი და ის მოწოდებულია იყოს მისი უერთგულესი შვილი, დამცველი ამ დიადი მამულისა, შემნახველი მისი ღირსების, ნამუსის და პატიოსნებისა.

ამ დიდი საქმის სამსახურით ემსახურება იგი თავის მშობელ მხარესაც, ხოლო ამ მხარის სიყვარული მის გულში წარუშლელია.

ქართველს ახლაც ახსოვს და ძვალრბილში აქვს გამჯდარი ერთი მეხი წარჩინებული პოეტის — გრ. ორბელიანის პატრიოტული თქმა:

„სხვა საქართველო საღ არის, რომელი
კუთხე ქვეყნისა?
— ერი გულადი, პურადი, მებრძოლი
შავი ბედისა,
შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის
გული ანდამატისა
იგი მხნე, იგი მღერალი, მოყვარე თავის
მიწისა!"

და შემდეგ:

„ვინ გიხილოს დროსა საშიშს,
არ დათხიოს თვისი სისხლი,
არა დააკლაპ თავი თვისი
შენ დიდებად, ვითა მსხვერპლი!"

და აი სწორედ ეს საშიში დრო დადგა უკვე: ვერაგი მტერი გერმანელ-ფაშისტური ურდოები შემოესიენ საბჭოთა ქვეყანას.

აი სწორედ ეხლა არის საჭირო, რომ წინ გამოვიდეს მთელი შესაძლებლობა, საუკეთესო თვისებები ჩვენი ხალხისა: მისი შეუდრეკლობა, მტერთან შეუპოვრობა, თავდადება და გმირული ქმედობაც.

ძველ მატიანეში, „ქართლის ცხოვრებაში“ მოყვანილია ერთ-ერთი მხედართმთავრის ესეთი სიტყვები: „არა არს წესი ჩვენი ქართველთა უკვე, რათა ვიხილოთ მტერი ჩვენ კერძ მომავალი, შეუბჭელად ზურგი შემოვაქციოთ, დაღათუ იყოს სიკვდილი“.

და მართლაც! ამ დღევანდელ, უმაგალითო, დიდ სამამულო ომში მთელი დიადი საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებთან—რუსებთან, უკრაინელებთან, ბელორუსებთან, სომხებთან და სხვებთან ერთად, ქართველებმა არა ერთი და ორი სახელოვანი შვილი მოგვცეს, რომელთა სახელები უკვე ათასობით ჩამოითვლება. მათ გამოიჩინეს უდიდესი მამაცობა და დაიმსახურეს საბჭოთა გმირის სახელი, თუ სხვა საპატიო ჯილდო.

მე მწამს, რომ ქართველობა თავის ისტორიულ სარბიელზე მრავალ განსაცდელს გამოვლილი, „მოყვარე თავის მიწისა“, არ დასთმობს თავის კერას, თავის საბუდარს, ეგზომ დიდი შრომით შექმნილს ამ უკანასკნელ ხანებში, იმ მიწა-წყალს, სადაც იგი ასე თავისუფალი და ბედნიერი, საბჭოთა ხალხების ოჯახში ემსახურება საკაცობრიო საქმეს.

იგი არ მოიცვლის ფეხს თავის საგუშაგოდან.

მყარი კედელივით! წინ აეყუდება თავხედ დამპყრობელს, არსად არ დაიხევს, მტერს ზურგს არ უჩვენებს და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებთან ხელიხელჩაკიდებული, იავარჰყოფს მტერს უგლიმსა და კადნიერს.

ქართველი არ შედრკება!

მახვილი არ შეუკრთება.

მის გრძნობა-გონებას ზრდის უწმინდესი სიყვარული სამშობლოსადმი—საბჭოთა კავშირისადმი, მის გულმკერდს ასალკდევებს, შეგნება იმისი, რომ არ უნდა მონად ყოფნა, არ უნდა დაკარგვა თავისუფლებისა. მის მარჯვენას აფოლადებენ უზენაესი, მშობლიური გრძნობები დიდი **ხალინისადმი.**

III

სწორედ ეხლა გვინდა „ენა გამოთქმად", რადგანაც ჩვენს საქმეებსა გმირულსა „ტურფადმცა უნდა ხსენება".

მაგრამ განა მარტო „ტურფა" კმარა?

ეხლა უნდა ამღერდეს მთა და ბარი.

დიდი რუსეთის გულ-მკერდ სავსე, მხარ-ბეჭ განიერმა, ბუმბერაზმა ვოლგამ უკვე ეხლაც მძლავრად დასძახა თავისი „Гейда ухнем!" და შორს გასტყორცნა მტერი მის შესაბილწად გადმობოტებული. ყინულოვანმა ტრამალებმა მტრის შეპაზრზენი ჰახანი მოიღეს, ჩვენთვის კი წკრიალებენ გულის მასალმუნებელ ჰანგსა. უკრაინას ნაწილობრივ ეღირსა ამოსუნთქვა და უკვე ღუღუნებს დიდ შევჩენკოს სიმღერებს თავისუფლებაზე.

კავკასიონი? ეს მრისხანე და ეხლაც უდიერთაგან შეუვალი მდევი აგუგუნდა ნაირ-ფერი ბგერებით: ბეშტაუ და შაშუკი კვლავ ლერმონტოვით ამღერებულან, მყინვარ წვერი ვაჟა-ფშაველურად გაჰყივის გოლიათურ ამბავს, ხოლო იალბუზი გრგვინავს პრომეთეოსის დიდ საგალობელს.

რა გახარებულია, როგორ ხეიმობს, ამ ბატრისთვის თურმე ეხლაც მიუდგომელ მთებს შეფენილი, ერავალ ჭირ-ნახული საქართველო, ეს კავკასიონის მუდმივ დარაჯად განწესებული ამაყი ქვეყანა.

აქვს კიდეც საამაყო:

მის კარიბჭესთან მისმა შვილებმა დიდ რუსეთის გმირულ ლაშქრის მეთაურობით სხვა მოძმეებთან ერთად, საქართველოს სასიქადულო შვილს, ამხ. ბერიას ხელმძღვანელობით სასტიკად დაამარცხეს სპეტაკ მწვერვალებზე თავხედად ამოღოღებული ‘ხამიანი ვასილისკო’ და მოსპეს მისი სახსენებელი ჩვენს საზღვრებზე.

ეს მოახდინა ჩვენმა სასიქადულო წითელმა არმიამ.

დღეს იგი იუბილარია. და ძვირია ისტორიაში ამისთანად გამარჯვებული. იუბილარი. მას ბევრზე ბევრი სასახელო საქმე მოულვაწნია თავის უკანასკნელ 25 წლის არსებობის მანძილზე, მაგრამ დღევანდელი მისი ძლევამოსილი დღე მაინც შეუდარებელია, უბადლო და სწორუპოვარი.

ამას ხარობს საქართველოც. იმავ დროს დღეს არის საქართველოს სასიხარულო თარიღიც მის დიდ ისტორიულ გზაზე გამოსვლისა, საბჭოთა ხელისუფლების

დამყარების გზით საკუთარ ნაციონალურ შეობის აღდგენისა და გამტკიცებისა.

ამ გამარჯვებულ ისტორიულ წუთებს სწორედ მართებთ დიდი ზეიმი და ზადიკობა.

ხოლო საქართველოს ეროვნულ შუბლს აქვს ერთიც და მეტად დიდი მიზეზიც უსაზღვრო გახარებისა.

ეს არის საამური, საამაყო შეგნება, რომ ყველა ამ გამარჯვებათა მეთაური დაბადებულია მის წიაღში, აქ არის დარწეული მისი აკვანი, აქ არის გატარებული მისი ახალგაზრდობის წლები და ეს გარემოება კიდევ უფრო ყელმოღერებულად გვხდის.

ამ საოცარმა ბუმბერაზმა სულ სხვაგვარ დაატრიალა კაცობრიობის ისტორიის ჩარხი, დიდი რუსეთი და ყველა მის გარშემო შეკრებილი ხალხი აიყვანა უდიდეს სიმაღლეზე, წინ გამოსწია მათი საუკეთესო თვისებები და გზა მისცა მათ უნარსა და შესაძლებლობას, როგორც მშვიდობიანობის დროს მშენებლობისა და შემოქმედებისათვის, ისე ომის ქარცეცხლში მტრის შესამუსრად.

ჭეშმარიტად გენიოსურად არის ხმარებული ხალხთა დიდი ენერგია, ხალხთა ნიჭებულება!

აქა ვართ ქართველებიც.

და ჩვენი საუკუნის ამ უდიდესმა ადამიანმა ქართველებს მოგვცა, როგორც ვთქვი, უდიდესი მიზეზი კეთილშობილ სიამაყისა და თავმომწონეობისა.

ეს დღეს კიდევ უფრო, ვიდრე ოდესმე, ითქმის თამამად.

იგი, ცხადია, ეკუთვნის კაცობრიობის დიდს ისტორიას. მაგრამ ამ ისტორიაში მან თვით თვისით აშკარად და გარკვევით შეგვიყვანა.

თუ აქამდე კაცობრიობის წინაშე ჩვენი გამარჯვება რუსთაველი იყო, ჩვენთვის მოკაშკაშე, რამ დიდი მნათობი, სხვებისათვის იგი მიჩრდილული იყო ლეჩაქ-გადაფარებული; ძველს, მართალია დიდად გამძლე, მაგრამ მაინც ქართულ კიდობნებში შენახული. ეხლა კი ჩვენი არსებობა, ჩვენი ჭირნახულობა სრულიად გამართლებულია.

გულს უხარია იმის შეგრძნება, რომ მამ ტყუილად არ უცხოვრია რამოდენიმე ათასეულ წელთა მანძილზე ქართველობას, ტყუილა არ უშენებია, არ შეუქმნია თავის საგანძური და შემდეგ ხმლით ხელში ტყუილად არ დაუცავს იგი. ამისათვის მას ბევრი უტანჯნია, გადაუტანია მრავალი განსაცდელი და ეს ყველა თურმე იმისათვის, რომ მას შესძლებია კაცობრიობას წარმოუშვას უებრო, დიდი ადამიანი, რომლის გენიოსობა ჯერ კიდევ ჩვენ მიერ გაუზომელია და თვალ-მიუწდომი.

ღირდა, ჩვენო წინაპარნო, თქვენი ცხოვრება რაიმე. თქვენმა მხნეობამ, თქვენმა შეუდრეკლობამ, თქვენი ისტორიის მზიანობამ გვაჩუქეს ეს დღეინდელი დიდი სიამაყე.

და რომ გაცოდინათ როგორ გაზრდილნი ყართ, როგორ წელში გამართულნი!

დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ საქართველოს კარგ დღეს და წითელ ლაშქარის ძლევა-მოსილებას შემტკიცებულს მიმდინარე ცოცხალი მაგალითებით.

ამიტომ ვიძახით დღეს სრულის ხმით:

გაუმარჯოს სასიქადულო ჩვენს წითელ არმიას

გაუმარჯოს უბადლო სტალინს!

გაუმარჯოს მის მშრომელ ქვეყანას, გაუმარჯოს საქართველოს!

IV

უკვე რამოდენიმე ხანია რადიო და გაზეთები გვაწვდიან მეტად სასიხარულო ცნობებს ჩვენი გამარჯვებისას და მე მინდა მოგილოცოთ ეს გამარჯვება, მხოლოდ მოლოცვისათვის მინდა დავიხმარო ერთი ხალხური, საახალწლო ლექსი:

„ახალ წელიწადს წლის თავსა
გიკვლევ ვაზისა რქითამცა,
შენიმცა სახლი ავსილა
ტყავ-კაბა ხარბამითამცა,
ცხენზედაც შეგისხდებიან
მშვილდ-ისრიანი ხმლითამცა,
კარზედაც მოგადგებიან,
ცხენ-ჯორა მაფრაშითამცა,
განზედაც დაგიდგებიან
თავ ოქრო გვირგვინითამცა,
მტერი სულ დაგიბრმავდების
ეშმაკი—ხმელით, ცითამცა,
მოკეთე ღმერთმა გიმრავლოს
მოყვარე მრავალ გზითამცა,
პურ-ღვინო დაულეველი
ვით მომდინარე წყლითამცა,
ხიცოცხლე გახარებული
მოუწყინარი დღითამცა,
ხულ ასე დახტკბით ამ ქვეყნად,
ვით თაფლი ფუტკრის ხკითამცა.
უხვადაც მოგეცემოდეთ
თვალ-მარგალიტი ხლვითამცა.

როგორც ხედავთ ამ ძველებურ საახალწლო სურვილებში დავიწყებული არ არის ერც ერთი კუთხე მაშინდელის ცხოვრებისა; აქ მტრის დამარცხებაც არის ნაგულისხმევი და შინაური ბედნიერებაც.

მხოლოდ დღეს ჩვენ სურვილებით კი არ ვიკმაყოფილებით, არაშედ ჩვენ გვასაზრდოებს ჩვენი ურყევი რწმენა ჩვენი სრული გამარჯვებისა და კვლავ ბედნიერის მშვიდობიანის, შრომითი ცხოვრებისა. მთელი ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს, საბჭოთა კავშირის ხელ-ახალ აღორძინების და აყვავებისა.

ეს რწმენა კი ჩაგვინერგა და მოგვიტანა არსებულმა სინამდვილემ.

ჩვენი დიდი სამამულო ომი უკვე შევიდა იმ პერიოდში, როდესაც მტრის ურდოები მარცხდებიან სასტიკად ბრძოლის ველის ყველა კუთხეში.

სახელოვანი წითელი არმია თითქმის ყოველდღე ამზადებს საამაყო საბჭოთა გმირებს, რომელთა შორის, ჩვენდა საბედნიეროდ, ქართველთა სახელებიც კაშკაშობენ.

ზურგში კი არასოდეს არ ყოფილა ისეთი აღრფოთოვანება, როგორიც დღეს არის. გაიხსენეთ საჰაერო ესკადრილიის, სატანკო კოლონების შექმნა და სესხი, რომელთაც მოჰყვა გოლიათური გამოხმაურება ყველა ჩვენი რესპუბლიკებისა და საერთოდ საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხთა კოლმეურნეების დიდი ნაწილისა. აქაც ქართველები მოწინავე რიგებში დგანან.

ეხლა აიღეთ ჩვენი კოლმეურნეობების მუშაობა მეურნეობის ყველა დარგში. მე ამას წინად მოვიარე აფხა-

ზეთი, კახეთი, იმერეთი, მოვასწარ ზოგიერთი კოლმეურნეობის დათვალიერება. რა ბუმბერაზული ნამუშევარია, როგორი მოვლილი, როგორი გეგმიანად შესრულებული!

ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხეში გახარებთ ეს სულიერი შეუდრეკლობა ჩვენი ხალხისა და განსაკუთრებით თავდადებული მუშაობა ჩვენი ძვირფასი დებისა და დედებისა.

ისინი შენაცვლებიან თავიანთ ძმებსა და შამებს და როდესაც განვიცადე მათი ეს შეგნება საბჭოთა მოქალაქის უწმინდესი მოვალეობისა, რომ ზურგი კიდევ უფრო განუმტკიცონ ფრონტს... როდესაც ეს ჩემი თვალით ვიხილე-შეთქი...

„მზემან სხივი მომაფინა მაშინა!“

მთავარი მაინც ის არის, რომ ჩვენმა სასიქადულო წითელმა არმიამ გენიოს სტალინის ხელმძღვანელობით ასე მამაცურად შეატრიალა ჩვენკენ გამარჯვების ჩარხი. ეხლა თუ კი ვინმე ფაშისტთაგანი გადაეურჩა ჩვენს სამართლიან რისხვას, ჩვენს ცეცხლსა და მახვილს, გარბის სირცხვილეული და ქანც-გაწყვეტილი.

მტერი გარბის, მტერი მარცხდება.

საუკეთესო მუსიკად გაისმის ეს სიტყვები ჩვენს გულსა და გონებაში და ამაზე უკეთესი დღეს რა უნდა მოვნახო მოსალოცად.

აქ ისიც უნდა მოვიხსენოთ, რომ დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის გარდაც, ჩვენი მოკეთეები თანდათან მრავლდებიან და შორს არ არის ის დღე, რომელსაც მძინვარე და უგლიმი მტერი გათანგული იქნება მოკავშირეებთან ერთად ჩვენს მიერ.

ამგვარად მალე დადგება დრო, როდესაც ბეჭდვისებული ხალხური ლექსისა არ იყოს, ჩვენ ბალხს კვლავ „მაფრაშებით დაუგროვდება დოვლათი, როდესაც მას ექნება მისი მონაგარი „პურ-ღვინო დაულეველი," როროდესაც ახალგაზრდობა იქორწინებს და იმაყრულებს, როდესაც დადგება „სიცოცხლე გახარებული" და ბალხი დასტკბება „ამ ქვეყნად, ვით თაფლი ფუტკრის სკითამცა."

1943 წ.

ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲔᲞᲝᲥᲔᲐ

ყური ვერ ასწრებს მოსმენას და თვალი წაკითხვას, ისეთი სისწრაფით ვითარდება ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის გამარჯვებული წინსვლა და ძლევამოსილება.

მტერი გარბის, გარბის დამარცხებული და სირცხვილეული, სტოვებს უამრავ მკვდართ რუსეთის ტრამალებზე, ან ტყვედ გვივარდება ხელში ბევრისბევრი დივიზიები, კორპუსები, არმიები და არა აქვს საზღვარი მათ საარაკო დამარცხებას!

ეს იმიტომ მოხდა, რომ რუსმა გოლიათმა მძლავრად ამოისუნთქა, გაშალა თავისი ფართო მკლავები ყინულოვან ზღვიდან მოყოლებული შავ ზღვამდე და მარწუხივით შემოეკრა მტრის უგლიმსა და გათავხედებულ სხეულს.

დიდია და მრავალი ხვავი ჩვენი გამარჯვებისა, მაგრამ მათ შორის სტალინგრადთან მომხდარი საომარი ქმედებანი აღავსებენ ჩვენს სულს სიხარულით, განამტკიცებენ ჩვენს მხნეობას.

ეს უწინარეს ყოვლისა, მხოლოდ მთელი სიგრძე-სიგანე ამ ზღაპრულის ღვაწლისა. ჯერ-ჯერობით ჩვენთვის კიდევ განუზომელია. აქ მოხდა ისეთი რამ, რაც არ ახსოვს არც ერთ დიდის მაშსტაბით წარმოებულს ომს წარსულში.

ასეთი გარშემორტყმა და ასეთი მრავალრიცხოვანი ჯარის ცოცხლივ ხელთგდება თავის გენერლებით, თავისი ფელდმარშლით ისტორიას სხვა არ ახსოვს.

მაგრამ ეს დიდი გამარჯვება სტალინგრადთან მარტო ფიზიკური და მატერიალური გამარჯვება კი არ არის. აქ არის უდიდესი ზომის, უაღრესი ზნეობითი გამარჯვება, აქ ცხადად გამოჩნდა საოცარი უპირატესობა ჩვენი ხალხის შეუდრეკლობისა და გამძლეობისა, უპირატესობა ჩვენი პატრიოტიზმისა. ამას კი ხელი შეუწყო ჩვენმა დიდმა დარაზმულობამ ზურგში და ფრონტზე.

მაშინ, როდესაც მთელი ჩვენი დიადი სამშობლო განიცდიდა უმძაფრეს დაძაბულობას, როდესაც თითქო ჩვენი ბრძოლის ველს თავს აწვა შავი ღრუბლები, ცა ჩამოქურესანებული იყო.

აი სწორედ ამ დროს, გაცხარებული ბრძოლის დროს, კიდევ უფრო დაირაზმა ხალხიც და მებრძოლი ჯარიც, სწორედ ამ დროს კიდევ უფრო ჩამოაყალიბა თავისი ორგანიზებულობა, სწორედ ამ დროს გადაიყარა შავი ღრუბელი და გამოანათა მზემ.

დიდმა მხედართმთავარმა სტალინმა შექმნა და გაწვრთნა სახელოვანი, სასიქადულო ლაშქარი, გამოიმუშავა გენიალური გეგმა, თავსლაფი დაასხა გაყოყოჩებულ მტერს სწორედ თავის სახელობის ქალაქთან — სტალინგრადთან და ეხლა მიერეკება იმათ ლაშქარს.

სხაფრივ არც უნდა მომხდარიყო: სტალინგრადი როგორ უნდა დაეპყრო მტერს? ლენინგრადი როგორ უნდა მოეხრჩო მის ურდოებს?

და გაიხსნა რკალი.

დიდმა სარდალმა თავის უებრო გენერლებით გენიალურად მოიხმარა შექმნილი მომენტი და რაც მტერს უნდოდა ჩვენთვის, ის თვით დამართა მას.

ამ ბრძოლებში გამოჩნდა არამც თუ მარტო შერკინება იარაღით ორ სახელმწიფოს შორის, არამედ ორი ერთი-მეორის მოწინააღმდეგე იდეის ჭიდილი.

და აჰა, თვალნათლივ დავინახეთ, რომ ჩვენმა რწმენამ, ხალხთა შედუღებულმა მეგობრობამ, შეუდრეკლობამ, გამძლეობამ აჯობა უხვშ ძალას, აჯობა დამპყრობელს, აჯობა მის უდიერ იდეასაც.

ამიტომ არის დიდად მნიშვნელოვანი სტალინგრადის ფერგამოუხუნებული ეპოპეა ისტორიული, დაუვიწყარი, წარუშლელი.

ამიერიდან ის დაგვნათის თავზე, როგორც ჩვენი ქვეყნის ულამაზესი კანდელი, ანთებული ჩვენდა საამაყოდ, ჩვენი მამაცობის მანიშნებლად, ანთებული გენიალური ხელით უსაყვარლეს **სტალინისა.**

ზურგის მძივები

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ზურგი სათანადო სიმაღლეზე დგას, ის ერთის სუნთქვითა სუნთქავს სახელოვან, გმირულ წითელ არმიასთან, პარტიისა და ხელისუფლებასთან ერთად და ყოველივე ღონეს ხმარობს, რომ თავის სულიერი სიმტკიცით, თავისი ნივთიერი ღონითა და დოვლათით—მოსავლით, ჭირნახულით, ქარხანათა ნაწარმით, ომისათვის ყველა საჭირო მასალით დაეხმაროს ფრონტს, უგლიმ მტერზე გამარჯვების საქმეს.

მთელს ჩვენს დიდ კავშირში დიდი და დაძაბული მუშაობა სწარმოებს ზურგში ამისათვის.

საქართველოც ცხადია, ასეთ დიდ მუშაობას აწარმოებს.

1. ქართველი ქალები

ჩვენ ხალხს თავის ტანსაცმელი ოდესღაც მძივებით მოჟურთავს და თავის ხელითვე დარჩული და მოქსოვილი შესამოსი ათასგვარ მარგალიტებად აუქვავებია. ამის ნაშთს დღესაც შევხვდებით მთაში, განსაკუთრებით ხევსურეთში.

დღეს მძივებით არავინ არ რთავს თავის გარეგნობას, მაგრამ შინაგან, სულიერ მწყობრში თურმე რა „პატიოსან თვალთაგან“ ჰქონია მორთული-მოკაზმული საკუთარი აღსავლობა! აქ არის ახოვანება სულისა, შეუდ-

რეკლობა, „ჟირსა შიგან ქვიტკირობა“, შემართება, გამ-ჭრიახობა და საერთოდ ყველა ის თვისება, რაც უნდა ჰქონდეს ხალხს თავისი ღირსების, ნამუსისა და მოვალეობის შემგნებს.

ასეთი ძვირფასი სამკაულითაა თურმე ყელმოღერებული დღეს ჩვენი ხალხი როგორც შინ ისე გარეთ — ფრონტსა და ზურგში.

მათ შორის ჩვენდა საამაყოდ დიდად ერჩევიან ჩვენი ქალები.

მაგრამ ქალების შესახებ აი რა მიამბო ერთმა ხანდაზულმა მეგობარმა. იგი მომიყვა ზღაპარს ალმოსავლურს.

მიამბო ზღაპრულად ვითომდა შეფარდებით:

„იყო და არა იყო-რა, ადამიანზე უკეთესი ამ ქვეყნად რა იქნებოდა!

ერთს ქვეყანაში, ერთ სოფელში, ერთს მუხურში ცხრა მთას იქით, ცხრა წყალს გაღმა, ცხრა მუხაში სახლობდა ერთი შეძლებული ოჯახი. ყველაფერით კარგად იყვნენ, მხოლოდ მოხუცი მამა ქვრივი იყო. მისი შოწიფული ერთადერთი ვაჟი — უცოლო. ქალი არ ტრიალებდა ოჯახში. შეთანხმდნენ მამა-შვილი და, ერთ მშვენიერ დღეს, ვაჟმა ცოლად მზეთუნახავი ქალი მოიყვანა. დიდი ქორწილი გადაიხადეს. ერთ კვირას გასტანა ზეიმმა და ზატიკობამ. როდესაც ამასაც მორჩნენ და დაიწყო ჩვეულებრივი, მორიგი სადაგი დღეები, ერთხელ ვაჟი შეეკითხა მამას: „თუ გიყვარდე, მითხარი, ოჯახში ვინ არის უფროსი, ქალი თუ ვაჟი“. მამას ულვაშებში ჩაეცინა და ერთი ალმაცერად შეჰხედა. ვაჟი მიაცივდა

პასუხისათვის. მაშინ მამამ ამოიოხრა: „ეეჰ, შვილო, აი ჩემ ხანამდე რომ მოიყრები, მაშინ გაიგებო“. ვაჟს ეს არ ეჭაშნიკა და პასუხი უფრო მტკიცე მოსთხოვა. ამაზე კი მამამ უპასუხა: „აგერ, შვილო, თავლაში ბედაურები გვიბია. საქათმეში კიდევ ბევრი ქათამი გვყავს. რაკი ასე გულით გსურს გაიგო ეგ ამბავი, გასწი და ქვეყანა მოიარე. თან წაიყვანე სამი ბედაური და ასი ქათამი. საცა აღმოჩნდება, რომ ვაჟი უფროსია, ბედაური მიართვი და საცა ქალი, ქათამი დასტოვეო“. დილაადრიან ვაჟი გამოეწყო, თან წაიყვანა სამი ბედაური, ასი ქათამი. და გაჰქუსლა.

იარა, იარა, ცხრა მთა გადაიარა, „შემოვლო კლდე-კაპანია“ და ყველგან იძულებული იყო ქათამი დაეტოვებინა. თითქმის არ დარჩა არც ერთი კუთხე მოუვლელი და მოდის შინ დაძმარებული, რომ შეუდგა კიდეც თავის სოფლის აღმართს, ბექობიდან შეამჩნია მოშორებით ტეფრში ბოლი ამოდის და სახლის სახურავიც მოსჩანს. „აი აქ კი არ ვყოფილვარ ნამდვილათო“ და ეხლა იქით მოუსვა.

„ეი, მასპინძელო, მასპინძელო!“

სახლიდან გამოვიდა მშვენიერი ჭაბუკი.

მოსულმა აუხსნა თავისი მოგზაურობის მიზეზი და სთხოვა ეთქვა ნამდვილი. დამხდურმა ამაყად გაიღიმა და უპასუხა: „რასაკვირველია, მე ვარ უფროსიო“. არა, ვერ დაგიჯერებ. ამის საბუთი უნდა მქონდეს, ისე არ იქნებაო“. „სიამოვნებით! ეი, დედაკაცო!“ და აივანზე გამოვიდა საუცხოვო სანახაობის ქალი. „აბა, ჩემო მეუღლევ,

ერთი აუხსენი ამ ახირებულ სტუმარს, ჩვენს ოჯახში ვინ არის უფროსი, მე თუ შენ?“

ქალმა სტუმარს ოდნავ დამცინავი ღიმილით გადახედა, შემდეგ, ქმარს მიუბრუნდა: მაგას აბა რაღა თქმა უნდა, შენა ხარ უფროსიო და მუხლებზე სიყვარულით მოეხვია. ამის გაგონებაზე მოსულს გახარება დაეტყო და დამხვდურ ვაჟს შესთავაზა: „რა კი ეგრეა, აგერ სამი ბედაური მყავს, რომელიც გნებავს, აირჩიეო“. „ძალიან კარგიო“,—შესძახა მასპინძელმა და ქუჩანზე მიუთითა, მოსული წავიდა ცხენის მოსახსნელად, მაგრამ ამ დროს შეამჩნია, რომ ცოლმა ქმარს ყურში რაღაც წასჩურჩულა. ამის შემდეგ მკაფიოდ მოესმა ქმრის სიტყვები: „უკაცრავად, შევცდი, ქურანი კი არა, აი შავი ცხენი რომ გყავთ, უნიშო შავი, ის მომეციო“. სტუმარი შეჩერდა, ნაღვლიანად უპასუხა: „არა ძმავ, მე შენ ცხენს ვერ მოგცემ, აგერ ერთი ქათამი დამრჩა და ის მირთვიო“.

ხანდაზმულმა მეგობარმა დააძთავრა ზღაპარი და თან ცბიერად შემომაჩერდა. მე ხმა არ ამომიღია, რადგან პირველად ვერ გავიგე, რა უნდოდა ამით ეთქვა, ეს შემამჩნია და თვითონ განმარტა:

„რაღა თქმა უნდა, აქ ქალის უფროს-უმცროსობაზე არ არის საქმე, ჩემის ფიქრით, ეს ზღაპარი იმას ამბობს, რომ ქალს შეუძლიან ცხოვრებას ჩაუდგეს სათავეში, მართოს და განაგოს ა-ა თუ ოჯახი, არამედ უფრო დიდი საზოგადოებრივი ერთეული. ორგანიზაციები, სახელმწიფო. აი რა მინდოდა შეთქვა შენთვის ამ ზღაპრით. გამიგე?—შემეკითხა მეგობარი, თან განაცხადა:—თუმცა დღეს

ჩვენს დიდს ეპოქაში, საბჭოთა ქვეყანაში ეს ადგილი უასაგებია, რადგან ქალების მშვენიერი მუშაობის კარგი მაგალითები ყოველ დღე თვალ წინა გვაქვს--ისინი მართავენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საბჭოთა დაწესებულებებს, კოლმეურნეობებს, სოფლსაბჭოებს, გამოდიან საუცხოვო სპეციალისტები სხვადასხვა დარგში და სულ ასე მიხვდი?"

თავი დაუქნიე და აღარ შევკამათებივარ.

მას აქეთ მეც „ცხრა მთა გადავლახე, ცხრა წყალს გაღმა გადავედი", მეც შემოვიარე „კლდე-კაპანია," ეხლაც ვმოგზაურობ მთად და ბარად და უნდა მოგახსენოთ, რომ მე რომ ხელთ მქონოდა თუ მყოლოდა, ქათმებს და ბედაურებს კი არა ქართველ ქალებს მივართმევდი ტრაქტორებს, კომბაინებს, ავტოებს, აეროპლანებს, რა ვიცი, რას არ ა. თუმცა ყველაფერი ეს მათ ხალხისა და მთავრობის მიერ ეძლევათ საჭიროებისამებრ. ეს კარგად ვიცით.

ჩვენ კი, საყვარელო მკითხველო, მათ მიუძღვნათ ჩვეხი გულწრფელი აღტაცება და მადლობით აღსავსე სიყვარული. უწინარეს ყოვლისა, მათის საარაკო დედობისათვის, რომ ესეოდენ სახელოვანი გმირი შვილები დაუზარდეს სამშობლოს და შემდეგ ხურგში მათის თავგამოდებული მუშაობისათვის, მათი განსაცვიფრებელი უხარიანობისათვის, გამჭრიახობისათვის, დისციპლინისათვის.

რა უქნიათ ამ დალოცვილებს, რა საოცარი მუშაობა ჩაუტარებიათ!

მთელი საქართველოს მთა და ბარი, სადაც კი შეიძლებოდა გუთანისა და თოხის შეტანა, გადაბიბინებუ-

ლია გულის მასალმუნებელი საუცხოო ყანებით, მოყოლებული შავი ზღვის ნაპირებიდან, ვიდრე დაღესტანის მთის კალთებამდე. მარცვლეული, ციტრუსები, ჩაი, შეცხოველეობა, მეთამბაქოება და სხვა ათასი საჭირო და სასარგებლო რამ ამ ქალების ხელში გაფურჩქნულია, აყვავებული და უკვე იძლევა შესანიშნავ უხვ ნაყოფს ფრონტისა და ზურგის საკეთილდღეოდ.

მათი შესანიშნავი ხელი ჩატრიალებულა ჩვენს ნაყოფიერ ქვეყნის ნიადაგში და ამ ნიადაგსაც მადლიერი პასუხი გაუცია.

აქამდე ქალი მამაკაცს შეიძლება, მოსავლის შემოტანაში თუ ეხმარებოდა: ყურძნის კრეფაში, სიმინდის მოტეხაში, გუთანს თავის დღეში არ ეკიდებოდა, თოხს ხელში იშვიათად, პაწია ბოსტნის გასამარგლად თუ აიღებდა, ეხლა, მაგალითისათვის, სამტრედიის რაიონში ერთ ქალს 10 ჰექტარი მარტოკას დაუხნავს. პატარა ფოთში ჯერ კიდევ როდესაც ვაჟკაცები ბრძოლის ველზე არ იყვნენ გასულნი, 85 ჰექტარი მუშავდებოდა მთელს კოლექტივში; წრეულს ქალების მეოხებით 300 ჰექტარია დამუშავებული.

და ასეა ყველგან, ყველგან ერთი ორად, ერთი სამად გაუუხვევიათ ჩვენ ქალებს დამუშავებული ფართობი.

ქართველი ქალი გარეგნულად დღესაც ისევ მიმზიდველია, როგორც ოდესღაც და შეიძლება უკეთესიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი სულ აღარ ჰგავს თავის სულიერი სიმაღლით, მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნის ქართველ ქალს. ის, რასაც დიდი აკაკი თავის დროზე უწუნებდა და უზრახავდა ჩვენს მშვენიერს სქესს, რომ იგი

მამულისათვის სასარგებლო შვილებს არ ზრდის, არ უგ-
ლის, სრულიად გადაგვარებულია და გაიძახის: „სამშო-
ბლო რას მიქვიანო“ და სხვა ესეთები, სრულიად აღმო-
ფხვრილან „პირისაგან ჩვენი ქვეყნისა“ და ძალიან კარ-
გიც უნებებიათ.

რა მუშაობის ღონე და უნარი გამოუჩენიათ ჩვენს
დებს! რა სიყოჩაღე, რა გამძლეობა!

მუშაობს ყველა: კოლბეურნე ქალი, ექიმი, ინჟინე-
რი, აგრონომი, მასწავლებელი.

უსათუოდ დიდი რამ ძეგლი შეეფერება ჩვენს მა-
ღალ სულის პატრონ ქალებს: ლიტერატურაში, მუსიკაში,
სახვითს ხელოვნებაში, თეატრში, კინოში.

ჩვენი მადლობა, ჩვენი თავმოწონებითი აღტაცება
და დაფასება, ჩვენი გულწრფელი სალამი სასიქადულო
ქართველ ქალებს!

2. ს ო ფ ე ლ ი

ამჟამად ქვემო იმერეთზე მოგახსენებთ.

კარგია ქვემო იმერეთი.

თუმცა რომელი მხარეა საქართველოსი, რომ თავი-
სებური სიმშვენიერე არ შესდგამდეს? — მე არ მგონია
ესეთი.

მაგრამ ქვემო იმერეთი თუ მშვენიერია ეს უფრო ადა-
მიანის გარჯილობით.

თავისთავად კი ერთი უშველებელი დაცემული ვაკეა,
სადაც ჯერ კიდევ მობორგავენ რიონი და ცხენის წყალი
თვის შენაკადებით.

არსად მთა-გორაკი, არსად ტყე. მხოლოდ შორეულ მანძილზე მოსჩანან ერთი მხრით გურიის კოხტა გორაკები და იმის იქით ადალეთის ჩალუოჯებული მთები, მეორე მხრით — სამეგრელოსი, მესამე მხრით — ლეჩხუმ-ზორაპანისა და დასასრულ დიდი საზღვაო ჩვენი ქვეყნის — შავი ზღვა.

ამის შუაგულ არის ქვეყანა იმერეთი მოქცეული.

და არ უნდა დიდი გამჭრიახობა იმის მიბვედრას, რომ ოდესღაც ამ ადგილის დიდ ფერდობზე ესეთი ტყე იყო ამოხეთქილი. ამის მანიშნებელია დღეს ალუნდელ აჯამეთის საუცხოვო ტყეები, ისეთი სქელი და მშრალი იყო ეს ტყე თურმე, რომ არსებობს გადმოცემა:

სოლომონ უკანასკნელი, იმერეთისა, ოჯდა თავის „ოქროს ჩარდახზე“ და ლამით ნიაღვა ნათელი შეეყრია.

— ვაიმე! ვილაცა ჯაჯამეთში ხე ნოეჭრიაო — ბრძანა თურმე.

მას შემდეგ კიდევ უფრო გაიკაფა ტყე, გაიწმინდა ყველა-ბურდისაგან ქვეყანა იმერეთი, დაწყდა ჭაობი და გაჩხლდა მოსახლეობა.

ეტყობა თავიდანვე ბეტად გამოჯე ხალხი ჩამოსახლდა მთის „კინკრიბოებიდან“ ან დაბლობზე რომ ასე გამშვენიერებულა ეს მიდამო.

ცაკვი და მუხა, კაკლის ხეები და სხვა ხეთილნარი ახალისებენ აქაურ კოიტად ნაგოლობილ, კოინლრით გადაბიბინებულ ეზოებს.

ალვის ხეები ნომ თითქმის ყრიდულ სასლკარს ოთხივ-კეთხივ სიპატეთ ყარაველებით ჩარაბმეია და თითქო ბევრი არას ერგია აქაურობას არც თავის ჩოდილით, არც თავის

ჩაყრილი. თვალთათვის არის მხოლოდ საამური, მაგრამ ცისკენ კი არის აცხლეტილი და ამით გამოიქვამს თავის მისწრაფებას. ჩრდილით დაბურულია ეზოს წინამო.

ასე რომ სიკეთე-ჰაპანებაში იმერელს არ სჭირდება სადმე მთაში გაქცევა გასაგრილებლად. იქვე აქვს მშვენიერი ჭა, ცივი და ანკარა წყლით. უდგია კოხტა ოდა, მაღალ ქვის ბოძებზე შემდგარი, ყავრით ან კრამიტით დახურული. კოტა მოშორებით უდგას ესრეთ წოდებული „საძზადი" სახლი, ბშირად ისლით დახურული, რომლის მიგნითაც გაჩალებულია ძველი „კერია", იქვე აყუდია დიდი და ფართო მრგვალი კეცი სქელი და გემრიელი ბჭადის გამოსაცხობად და საერთოდ აქ სრულდება ყოველგვარი მლვდელ-მოქმედება ქვაბებისა და ქოთნების მეოხებით ოჯახის დასაპურებლად და გამოსაყენებად. სისიმინდეები, ბელლები და სხვა ესეთი მარაგის შესანახი ნაგებობანი უმეტესად გადატანილია ერთ დიდ საერთო ფართობზე, რადგანაც ჩვენმა-იმერეთი ამჟამად წარმოადგენს გაერთიანებულ შრომის უჯრედებს სხვადასხვა კოლმეურნეობათა სახით და ყველა კოლმეურნეობას თავის მომხმარებილ, უფრო ცენტრალურ ალაგას აქვს გამარიჯული თავიანთ მონაგარის საწყობები. საბელოსნოები, სამეურნეო იარაღთა შესანახი და ზოგან ელსადგურიც, სახეურხი ქარხანაც და სხვა ასეთი საჭირო საწარმოები.

უმეტესად კი მისდევენ რასა?—მეურნეობას, ბოსტნეულს, ხეხილნარს, ჩაის, ციტრუსებს, მესაქონლეობას. იქა-აქ არის ვაზიც, რომ დამაწვრალმა კოლმეურნემ დასვენების დროს, აქაურის განთქმულის „ალადასტურით" ყელი ჩაიგემრიელოს.

და აი ძიდიხართ თქვენ სამტრედიის რაიონის რომელიმე კოლმეურნეობის მინდვრებზე: ერთ ფართობზე ხედავთ კიტრია დათესილი, მხოლოდ ისე კი გამოთხნილ-გამოწმენდილი, რომ კიტრის ბარდები ერთი მეორეზე გაშორებით ხალიჩაზე მოქარგულ ყვავილებს ჰგავს. ზემოდან მხოლოდ მწვანე ფართე ფოთლები აფარია, აქაიქ ყვითელი ყვავილები ელექტრონის პაწია ლამპრებივით გამოსჭვივა. თვით ნაყოფი კი ამ ფოთლებში შემალულა.

გადალახავთ საკიტრეს, მას მოჰყვება ხახვის ფართობი, თითქმის თვალუწვდენი და კიდევ უფრო ახლოს გინდათ გაეცნოთ, ამოიხრით და ხელში შეგრჩებათ ზოგან მართლა რომ მოზრდილი კომშის სისხ

ხახვის ძირი. რა დოვლათია, რა საამური და უმთავრესი—რა სასარგებლო!

ამასაც გასცილდებით და უკვე წითელი ჭარხლებს სამთავრო იწყებს თავის გულის გადაშლას, მის ძარღვიან ფოთლებს ყელი ისე მოუღერებიათ და ისე ფართოდ „გადაფუნჩულან“, რომ ზღაპრული ქონდრის კაცი მართლა შეიჩრდილებს მის ქვეშ. ძე კი მის დამნახველს—გამოვტეხილვარ, არა ვარ მსუნაგი კაცი, მაგრამ პირს ნერწყვი მომდგომია: გამახსენდა იმერულად ნიგვზით და ძმრით შეკაზმული იმ ჭარხლის მხალი! მაგრამ ეხლა ძირი უნახეთ ამ ჭარხალს! ეს უკვე საოცარი რამ არის, ძუძუმწოვარ გოჭის ხელა უთუოდ იქნება.

და ასეთ მადის მოშგვრელ გარემოში იმყოფებით. აგერ სტაფილოს დიდი ყანა, სტაფილოებიც უზარმაზარი ოლიათური მოყვანილობის. ბადრიჯნის, ისეც შესაფერი თავის მეზობლებისა და პამიდორები ხომ ფიდრონი, მუშტის ტოლა, ნათელ ატლასის კაბა-შემოჭირებული.

ეხლა კომბოსტო, ლობიო და სხვა.

სიმინდის ყანებს კი ნული გადაერევით. ეს ისეთი ზღვაა, რომ თითქო ულევი და უსაზღვრო.

ხილი? რომელი ერთი ავწერო, ყვილა საუკეთოვო და „საასაღო“.

არა! სამტრედიის რაიონი მეტად მდიდარია თავის ნაყოფიერი მიწით და ადამიანის გეგმიან, ერთგულ შრომას მუდამ უხვსა და მადლიერ პასუხს აძლევს.

ასეთია თითქმის ყველგან სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობები. განსაკუთრებით იქ, სადაც მე მომიხდა ყოფნა: სოფ. ლენინის კოლმეურნეობა (თავჯდომარე ამხ. ქსენია დანელია), ძველი სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა (თავჯდომარე ამხ. შალვა ჯანელიძე), სანავარდოს კოლმეურნეობა „განთიადი“ (თავჯდომარე ამხ. თამარ თავაძე), სოფ. ეწერის, ამხ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (თავჯდომარე ამხ. ივ. ტაბიძე).

დაკვირვების შემდეგ მივხვდი, რომ სირცხვილია კოლმეურნეობას ჰკითხო—მილიონერი ხართ თუ არაო. ეს უზრდელობათ ჩამოერთმევათ, რადგან ეს საფეხური მათ განვლეს დიდი ხანია.

ამიტომ მე უფრო სხვა რამეებს ვეკითხებოდი.

ავიღოთ მაგალითისათვის სოფ. ეწერის ამხ. ბერიას კოლმურნეობა. კოლმეურნეობის სიგრძეა ოცდაორი კილომეტრი, სიგანე რვა კილომეტრი. 485 კომლი შედის კოლმეურნეობაში. ფრონტზე გაწვეულია მამაკაცების საგრძნობი ნაწილი. მაშასადამე მთელი მარცვლეულის ფართობი 360 გექტარი იყო. წრეულს 450-ა. ბოსტნეულის თუ იყო 42, წრეულს 69-ა და ასე სულ.

აქვთ ფერმა. ჰყავთ 258 სული რქოსანი საქონელი ძროხა და ხარი. ყავთ იორქშირის ჯიშის ღორებიც.

ეწევიან მეფუტკრეობასაც, ჰყავთ 26 ოჯახი. ჰყავთ ცხენებიც.

ამ კოლმეურნეობაშიაც შრომის ნაყოფიერება დიდათ გაზრდილა. პური წრეულს მიიღეს 12 ცენტნერი, რაც საერთოდ ქვემოიმერეთისათვის თვალსაჩინო მონაგარს წარმოადგენს.

ჩაის გეგმა ივლისის 29-თვის შესრულებული იყო 132 პროც.

სამხედრო დახმარებისათვის დათესილია 6 ჰექტარი.

ამავე დროს ფრონტზე წასულებს აუშენეს 9 სახლი. მათ ოჯახებს საკვებათ მისცეს 540 ფუთი მარცვლეულისა. სამ ოჯახს მისცეს თითეულს თითო უშობელი.

ფრონტზე წითელარმიელებს გაუგზავნეს 80 კილო ყველი, 4 ტონა ბოსტნეული

ამავ დროს თავის დროზე ისესადრილიის სასარგებლოთ 4 საათის განმავლობაში შეიტანეს 67,901 მან.. სატანკო კოლონისათვის —100.000 მან.

ამგვარად ხმა-შეწყობილად გეგმიანათ, ორგანიზებულად მუშაობს ზემოხსენებული კოლმეურნეობა, რომელსაც ბრიგადებში ჰყავს 50-ზე მეტი მოწინავე მუშა-ადამიანი და მათ უძღვება თავის საქმის კარგი მცოდნე ენერგიული ამხ. ტაბიძე.

და ასეთია სამტრედიის რაიონში ჩემგან ნახული სხვა კოლმეურნეობები. ზოგან ციფრები შეიძლება მეტიც იყოს როგორც, მაგალითად, ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, მაგრამ საერთოდ ეკუთვნოს ციფრებით მაინც და

შაინც არ-დაკტვირთო ეს წერილი--სანიმეშოთ კმარა ხსენებულიც.

მთავარი ის არის თუ რიგი სუნიქავს ჩვენი სოფელი. და მოყვანილი მაგალითით ოქვენ დაინახავთ, რომ სოფელი ჩაბმულია დიდს, დაძაბულს შუშაობაში და ეს ყოველივე გამარჯვების უზრუნველყოფისათვის.

სამტრედიის რაიონში არის ერთი საყურადღებო მოვლენაც. ხშირად კოლმეურნეობის და სოფსაბჭოს თავმჯდომარეებად იმყოფებიან ახალგაზრდა-მიღებულნი. ასეთია სოფ. ჯიხაიშის საბჭოს თავჯდომარე ამს. აკ. ვაშაკიძე, ლეწინის საბელობის კოლმეურნეობის თავჯდომარე ამხ. შალვა ჯანელიძე, სანავარდოს კოლმეურნეობის თავჯდომარე ამს. თამარ თაგაძე და სხვ.

როდესაც აკეთებენ და ნამუშევარსაც ვავალებთ ყოველგან დაინახავთ, რომ მათი მისვლის შემდეგ კოლმეურნეობა, ზოგან ჩავარდნილიც კი ფეხზე დამდგარა, აღორძინებულა და ამჟამად ბოწინავე რიგებში დგას. ეს უსათუოთ ლენინმესანიშნაი ამბავია და წასაბაძ მაგალითად გამოდგება სხვა რაიონებისათვის.

აქ კიდევ შესამჩნევია ვზები. კარგად არის გამოყენებული ქვემო იმერეთის ფაქტ. არამც თუ ბაგის ტრალი, რომელიც გადის სამტრედიის რაიონზე ქუთაისიდან სოხუმამდის, არამედ თვით სოფლებში შესასვლელი ვზები და ძველებური „შეკვეთაც“ დღეს ავტომანქანისთვისაც ადვილი და მომარჯვებული გასასვლელია. ამ გზებზე ეხლა ხშირად ხედავთ უწინარეს ყოველისა სატვირთო მანქანებს, ორგორგლიან ცხენის ურიკებს, ურმებსაც ხარ-კაშეჩ შებ-

მულს, მაგრამ კიდევ უფრო ხშირად ველოსიპედებს. ცხენები შეუცვლია ამ ფოლადის საჯდომს.

მაგრამ, რასაკვირველია, ქვემო იმერეთი ცივილიზაციის და თანამედროვე ტექნიკის მარტო ამ ნაყოფით არ კმაყოფილდება. სოფლებში არის ელექტრონის სინათლეც, რადიოც და ყოველმა რიგითმა კოლმეურნემ საღამობით იცის რა გამარჯვების ამბავი მოგვიტანა ჩვენ ინფორბიურომ. ის მშვენივრად ერკვევა საგარეო პოლიტიკის საქმეებშიაც, და ეს, რასაკვირველია, მიეწერება პარტიისა და ხელისუფლების სათანადო პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას სოფლებში.

რაიონში მრავალი სასწავლებელია. აი ავიღოთ თუნდა კულაშისა და დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმები. პირველში ამხ. ჩხეიძეა დირექტორად, მეორეში ამხ. მიქაძე.

რაიონს ტყუილად არ მოსწონს თავი ამ ტექნიკუმებით, ორგანვე საუცხოვო და სანიმუშოდ არის გამართული სწავლების საქმე და პრაქტიკული მეცადინეობა.

გარემოებამ მოიტანა და უფრო ხშირი სტუმარი ვიყავი დიდი ჯიხაიშის ამხანაგ ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, რომელთაც აქვს სამი განყოფილება: მეხილეობა-მებოსტნეობის, აგრონომიული (მემინდვრეობის) და საბუხალტერო-ეკონომიური.

თვითონ შენობა ტექნიკუმისა, კარგა მოზრდილი, ორსართულიანი მდებარეობს სოფლის ცენტრში და უჭირავს დიდი ფართობი, სადაც წინ, მისასვლელთან საყვავილე და წიწოვანთა ხეივანია, რუსთაველის კოხტა ძეგლით შემკობილი, უკან კი მშვენიერად შემომესრილი ადგილი, სტადიონისათვის განკუთვნილი, თვით შენობა

ისე არის დაცული გეგონებათ ეს არის ეხლა შესულან აქ სამუშაოთ, ისეთი სისუფთავითა და სიფაქიზით არის მოვლილი და შენახული მთელი შენობა. არსად ჭუჭყი, არსად კედელზე არაფერი მინაწერი ან მოხატული, რაც ასე ჩვევიათ ზოგჯერ და ზოგან ზოგ მოწაფეებს, არსად მინა ჩამტვრეული, ან ფანჯრების ჩარჩო მორღვეული თუ რაიმე ასეთი დუხჭირი რამ. ყველაფერი გაკრიალებული, სასარგებლო და საამური.

დაივლით კაბინეტებს და თქვენ იგრძნობთ, რომ მცოდნეობის ტაძარში იმყოფებით. ყოველივე საზრისიანად, გეგმიანათ და გამოსადეგად არის განრიგებული, შედგენილი და გამოწყობილი. ბოლო ხანებში კი ეტყობა, რომ მეტი ყურადღება ექცევა სამხედროსა და ფიზკულტურის კაბინეტებს, ეს გასაგებიც არის, რადგან ამ ტექნიკუმშიაც ასწავლიან და წვრთნიან მოსწავლეებს სამხედრო ხელოვნებაში.

ტექნიკუმს დიდი დამსახურება მიუძღვის მოსახლეობის წინაშე. მან თავის არსებობის მანძილზე მრავალი სპეციალისტი მისცა ქვეყანას. ეტყობა ეს ტექნიკუმი იმდენად საყვარელია აქ სწავლა-მიღებულ ახალგაზრდობისათვის, რომ ამჟამად, როდესაც მისგან გამოსული მრავალი ახალგაზრდა ფრონტზე თუ ცხოვრების სხვა სარბიელზე იმყოფებიან, არ სწყვეტენ კავშირს ტექნიკუმთან, აქვთ ხშირი მიწერ-მოწერა და ტკბილად იგონებენ მათ განმკაცებელ საყვარელ დაწესებულებას.

წრეულს ზაფხულს კი ამავე ტექნიკუმმა მოაწყო თავის კედლებს შორის გამოფენა სამამულო ომის შესახებ და უნდა ითქვას რომ გამოფენა შინაარსიანად და

გემოვნებით იყო გამართული. ასეთივე შესანიშნავია ამ ტექნიკუმში მოწყობილი პარტკაბინეტი და დიდი ბელადის ოთახი.

ამავე რაიონში დიდი მუშაობაა ჩატარებული ჯანმრთელობის დარგში, რომლის აღწერასაც შევეცდები ცალკე წერილში.

მეტად ენერგიულად მუშაობენ ფრონტიდან დაბრუნებული ამხანაგები, რომლებიც ზოგი ან დროებით შვებულებაში არის წამოსული, ან ნაწილობრივ ინვალიდობის გამო განთავისუფლებულია. ესენი, მიუხედავად მათი ფიზიკური ნაკლისა, თავდადებით მუშაობენ ზურგში, ვისაც სად და რა შეუძლია, მაგალითისათვის: დიდი ჯიხაიშის მცხოვრები ამხ. შალვა პავლეს-ძე გოტონელი თავიდანვე კოლმეურნე იყო და მოწინავე ბრიგადირი, ომის დაწყების შემდეგ იყო ყირიმის ფრონტზე, კერჩში, დაჭრილი იქნა. შემდეგ მორჩენისა იყო სტალინგრადთან. იქაც დაიჭრა მძიმეთ. მოარჩინეს, შემდეგ დაბრუნდა ისევ თავის სოფელში და თავის კოლმეურნეობაში კვლავ ბრიგადირად არის და თავგამოდებულად მუშაობს.

რკინისგზელი ამხ. სერგო ლეკვიაშვილი მოწინავე სამატარებლო ოსტატი იყო ომამდე. იყო ფრონტზე. იქ მოწინავე ტანკისტი გახდა, სამჯერ მძიმედ დაიჭრა. ამჟამად დაუბრუნდა ისევ რკინის გზას და კვლავ მუშაობს როგორც მოწინავე სამატარებლო ოსტატი; კიდევ რკინისგზელი, ამხ. მიხაილ მამენკო. მემანქანე ყოფილი პარტიზანია. სევასტოპოლის ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა. დაჭრილია. ამჟამად მუშაობს სამტრედიის რკინის გზის კვანძზე.

ეს ვიკმაროთ.

ასე რომ სამტრედიის რაიონი თავის რკინისგზის კვანძით, სოფლებით და კოლმეურნეობებით ილიასი არ იყოს, „ერთ დიდ ფიქრსა ფიქრობს“, მხოლოდ რაც მთავარია—კი არ ფიქრობს მარტო, არამედ აკეთებს, მოქმედებს, აქტივობს ფრონტისათვის და ზურგის ერთ-ერთ მშვენიერ მძივად ებმება საბჭოთა ქვეყნის საერთო პატრიოტულ ანაქარგსა.

სარჩევი

ი ს 3
ქართველობა 6
დაუვიწყარი ეპოპეა 24
ზურგის მძივები 27

Шалва Дадиани

ГРУЗИЯ

(на грузинском языке)

Изд. „Сабчота мцерали" 1943 г.

* *

რედაქტორი: გ. ნატრომვილი

*

ელდაეცა წარმოებას 13'XII-43 წ.
ხელმოწერილი. დასაბეჭ. 18|III 44 წ.
ტირაჟი 5000. წიგნის ზომა 5x7 1/2
სააღრიცხვო ფორმათა რაოდ. 1 ფ.
შეკვეთის № 433 უე 06007

*

გა-ბა „საბჭოთა მწერალის" სტამბა,
თბილისი, პლეხანოვის კრ. № 181